საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 255 2017 წლის 25 მაისი ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №260 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №260 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/06/2011, 390050010.10.003.016420) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია, პირს გაუფორმოს ტყითსარგებლობის ხელშეკრულება აუქციონის გარეშე, ხოლო პირი ვალდებულია, ყოველწლიურად გადაიხადოს ტყის ფონდში კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის 1 ჰექტრამდე დადგენილი

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 9735
29 05 2017

წლიური საფასური – 8 000 ლარი (დღგ-ის ჩათვლით), ხოლო 1 ჰექტარზე მეტი ფართობის შემთხვევაში - ყოველ მომდევნო კვადრატულ მეტრზე 0.8 ლარი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც არ აქვს გაფორმებული ტყითსარგებლობის ხელშეკრულება კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის, ტყის ფონდში კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის წლიური საფასურის (1 ჰექტარამდე ფართობისათვის – 8 000 ლარი (დღგ-ის ჩათვლით), ხოლო 1 ჰექტარზე მეტი ფართობის შემთხვევაში - ყოველ მომდევნო კვადრატულ მეტრზე 0.8 ლარი) გადახდის ვალდებულება წარმოეშობა 2011 წლის 1 აგვისტოდან.".

მუხლი 2. ამ დადგენილებით განსაზღვრული სარგებლობის საფასური არ გავრცელდება ამავე დადგენილების ამოქმედებამდე ტყითმოსარგებლის მიერ გადახდილ საფასურზე.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**